


საქონი

23

განცხადება



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

„ნიანგი“ ხსნის ნებისყოფის, მო-
თმინების, გამკლავებისა და სიძვე-
ლეთთან ვაჟკაცური ბრძოლის
კურსებს იმ პირთათვის, რომელ-
ბის დღენიადავ ჩვიან იმის თაობა-
ზე, რომ არა აქვთ გათბობა, განათე-
ბა, სხელი წყალი და ა. შ.


თეორიულ ნაწილთან ერთად სა-
ბინაო-სამკლავათბობო კანტორა-
ვის დახმარებითა და ხელშეწყობით
მსმენელები გაივლიან პრაქტიკასაც:
ბინებში იმსოვრებენ ისე, რომ ცალ-
ცალკე კი არა, ერთდროულად არ
ქნებათ არც გათბობა, არც სხელი
წყალი, არც დენი...

ახე და ამრიგად, პრაქტიკის გა-
საძლეული ადგილი (სამსოვრებელი
ბინა) პირველყოფილი კაცის გუნაბს
რომ დაემსგავსება, შიგ მცხოვრებ-
ლებს გათბობა, დენი, სხელი წყალი
ერთდროულად სანატრელი რომ გა-
უხდებათ და დაიწყებენ ნავთქურა-
ვის ანთებას, ვედროებით წყლის
გამსხლეებასა და სანთლების ქაზნას,
ანდა ღამით მსოლოდ მესამე საბანი
რომ ჩაათბუნებს მთელი დღის გა-
ყინულებს, თანდათან გაუკაჟდებათ
ნერვები და, კურსების დამთავრე-
ბის შემდეგ უინდაბრუნებულს,
რადღ დმართი გაუწყრებათ და კვლავ
დაიწიწიწებენ, თუკი მსოლოდ და-
ნი გამორთეს, ან მსოლოდ სხელი
წყალი არ ქნებათ, ანდა მსოლოდ
გათბობას გადაუკატავენ?!

კურსები იმუშავებს დავით გურა-
მიშვილის დიდპატიჟური კრადოს
მიხედვით: „ჭირს მყოფი, ლხი-
ნები უახული, შვებად მიი-
თვლის ვნებანსა“.



ბ.ბ.



ფ ე ლ ე ბ ო ნ 5 0

— როდის იყო, კაცო, გაზეთს ასე ჩაიციებოდა ჩაპირიკიტებდი? ფარცავი რაზე სოი არ წერია შიგ? — შეეკითხა მეუღლე ოთარს.

ოთარ კუნელაშვილმა ყურადღება არ მიაქცია მეუღლის შეკითხვას, კითხვა დაამთავრა თუ არა, გაზეთი განზე მოისროლა, თხსავით გემოზე შეიკუნტრუნა, გაოცებული მეუღლისა და შვილის შეშინებულ გამოხედვას ყურადღება არ მიაქცია, ერთი ნახტომით კარებთან გაჩნდა, ეზოში ასევე სწრაფად ჩაირბინა, სარდაფის კარი კი არ შეაღო, ლამის შეგვიღოქა!..

ოთარის საქციელით შეშინებული ცოლ-შვილი ოჯახის უფროსს უკან გამოუდგა. როდესაც სარდაფის კარი შეაღეს, საოცარ სურათს წააწყდნენ: ოჯახის უფროსი გენიოსივით შუბლზე თითმიდებულ სარდაფის ერთი კუთხიდან მეორეში დალაგებულ, ეტყობა, სარდაფს ნაბიჯებში ზომავდა. ცოლ-შვილის შეშინებულ სახეებს ყურადღებას არ აქცევდა და თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა...

— ოთარ, კაცო, არ მეტყვი, რა უბედურებაა შენს თავს? უჩემური ხომ არ შეგეყარა? — წამოივიღლა ოთარის მეუღლემ.

— მაიკლე, ქალო! ხელს ნუ მიშლი!.. ჰო!.. — უცებ გონს მოეგო ოჯახის უფროსი, — გაზეთში მთავრობის ახალი დადგენილებაა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ.

— მეჩედა, შენ რა განარბებს?.. ან ეს სარდაფის გაზომვა რაღას ნიშნავს?

— ჰე, შენ რას გაიგებ!.. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა! — ამის თქმა და — ოთარ კუნელაშვილმა განაგრძო სარდაფის გაზომვა.

— არა, რაღაცა სჭირს ამ კაცს! — შეიცხადა ქალმა და შვილს მიუბრუნდა: — მიდი, შვილო, სოფლის საბჭოში აირბინე და ტელეფონით სასწრაფო გამოიძახე, ეტყობა, თავის ჭკუაზე არ არის!..

ის-ის იყო, ბავშვი გასაქცევად მოემზადა, რომ ოთარ კუნელაშვილმა სარდაფის გაზომვას თავი ანება, ხელის აწევით ბავშვი ადგილზე გააჩერა და მეუღლეს თვალები დაუბრიალა:

— შენ რა, მართლა გიყი ხომ არ გგონივარ?! ა, უყურე ახლა ამას შენ! რა ვერ გაიგე, ქალო?! მთავრობის ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ ლოთების რიარია აღარ იქნება, სპირტისა და სასმელების გაყიდვა შეიზღუდება და არაყსაც ფასი დაეღება...

— მეჩე შენ რა?

— რა და ავშენდებით!..

— ეს როგორ?!

— როგორ და, უბრალოდ! ფალსიფიცირებული არაყის დამზადებას მოვიკიდებ ხელს... ყოველდღე რომ დამძახი, მეზობლიანთ ანამ შუბა შეიძინა და მეც მომიხმდება!.. ეგეც არ იყოს, ზედმეტი ფული ვის აწყენს?!

ქალმა პირი მოკუმა და წარბები შეყარა:

— არც შენი შუბა მინდა და არც აუტკივარი თავის ატკივება! მაგ გაზეთში ისიც ეწერება, ფალსიფიცირებული არაყის დამზადებულს თავზე ხელს რომ არ გადაუსვამენ. აჰა! — ნიშნის მოგებით თქვა ქალმა.

— როგორც ქუხს, ისე არ წვიმს! საქმე ისაა, თეგზი ბოლოდან დაიჭირო! ჩემი საქმისა მე ვიცი! შენ სადილს მიხედე! აქ კი, იცოდე, ფეხი არ შემოდგა! დღეიდან ამ სარდაფში არაყის დამამზადებელი „ქარხანა“ უნდა მოვაწყო! — ამყად თქვა სახლის უფროსმა და საქმეს შეუდგა.

დატრიალდა ოთარ კუნელაშვილი და სარდაფი მართლა მოაწესრიგა: კედლები შეათეთრა, თაროები განაახლა და მათზე რომელიღაც ლაზორატორიიდან აწაპნილი ნაირ-ნაირი სინჯარები დაალაგა... საჭირო ინვენტარი, მეტალისა და მინის ბილონებიც შეიძინა, ოც და ორმოცდობიანი ბოთლებიც შემოიტანა „ქარხანაში“. მუშაობა-გადაკრულ მაგიდაზე არაყის გამოსახდელი ქვაბები და სხვა ხელსაწყოები განალაგა. არც ბოთლის სასუფავები და კუსტარული წიხით დამზადებული საცობების შექმნა დაიწყებია...

როცა „ქარხანა“ მზად იყო, მისმა ერთადერთმა მეპატრონემ ოთარ კუნელაშვილმა ერთხელ კიდევ გულდასმით შეათვალა ირა საკუთარი „საწარმო“ და თავში ხელი შემოირტყა: — ვაი შენ, ჩემო თავო! ეს სადაური „ქარხანა“ და სადაური დირექტორი მე

ვარ, თუ კაბინეტი არ მექნება, თანაც ქარხანას თავისი სახელი ხომ უნდა ჰქონდეს? არის!.. დღეიდან ქარხანას ერქმევა „ოთარ კუნელაშვილი...“ ისევ დატრიალდა ოთარი, სარდაფის ერთი კუთხე ფანერით გადატანა, სადაც საწერი მაგიდა თავისი პრესპაპიეთი გააწყო, საანგარიშოს ნაცვლად ელექტროგამომთვლელი აპარატი შეიძინა (აბა, ძველი, მამაპაპური წესით ხომ არ იანგარიშებდა მოგებას, თანაც მოღას ხარკი ხომ უნდა გადაუხადოს აცემა?!).

ერთი სიტყვით, ფალსიფიცირებული არაყის დამამზადებელი „ქარხანა“ „ოკ“ მწყობრში ჩაღდა. „დირექტორმა“ ოთარ კუნელაშვილმა „ქარხნის“ ამუშავების დღეც დანიშნა, მაგრამ (ოჰ, ეს „მაგრამ“) ერთი წვრილმანი გამორჩა — არაყის დასამზადებელი ნედლეული.

— მენავემ თუ წყლის სიღრმე არ იცის, ნავს ქვეშიდან მოიქცევა, — ისევე შემოირტყა თავში ხელი ოთარმა, კვლავ ციბრუტივით დატრიალდა და არტუთ უშედეგოდ, ფონიც მალე მოხანა. შავ ბანარზე შეიძინა 84 ლიტრი უმალესი ხარისხის ეთილის სპირტი, რომელშიც უცნობ პირებს (გამოძიებამ მათი ვინაობა ვერ დაადგინა) 2688 მანეთი გადაუხადა.

რაკი არაყის დასამზადებელი ნედლეული საკმაოდ დააგროვა, ოთარ კუნელაშვილი, მართალია „დირექტორი“ იყო, მაგრამ იმის გამო, რომ შტატში თავისი თავის გარდა სხვა არავინ ჰყავდა, ფალსიფიცირებული არაყიც თვითონ დამამზადდა.

„დირექტორმა“ წელში გამოყვანილ პატარა ქიქაში დამამზადებელი არაყი ფრთხილად გადმოსახა, სინათლეზე გახედა, მოსვა და პირში დაიგუბა, შემდეგ გადახუხა და ალტაცებულმა წამოიძახა:

— იფ, იფ! აი, მესმის!.. ნამდვილი რუსული არაყია, თანაც სინამაგრე 37 გრადუსია! ისე, არაყის დამამზადებელი მწელი სულაც არ ყოფილა! ერთ ლიტრ სპირტზე ორი ლიტრი ადუღებული წყალი, შაქარი, მარილი და არაყიც მზადაა! ცეცხლია, ცეცხლი! 130 ლიტრზე მეტი იქნება! ახლა არაყის ცარიელი ბოთლები მაქვს საშოვნელო!

ოთარ კუნელაშვილმა არაყის ცარიელი ბოთლების შოვნის პრობლემაც ადგილად გადაწყვიტა: თბილისის № 175 სახინკლეში მომუშავე დამლაგებლების მ. ბერუჩაშვილისა და ნ. მელიქიშვილისაგან 20-20 კაპიკად „რუსული არაყის“ 200-ზე მეტი ცარიელი ბოთლი შეიძინა. გამსაღებელიც მალე მოხანა — მცხეთის რაიკოპკავშირის დიღმის მომხმარებელთა საზოგადოების ზაპისის უნივერსიტეტის სასურსათო ხეყციის უფროსი გაუჩიდევი ვასილ კოლენიკოვი.

ვიქტორმა და ოთარმა სწრაფად გაუგეს ერთმანეთს. ის კი არა, იქვე, უნივერსიტეტის საწყობში, სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე მშობა და მეგობრობა შეჰკვიცეს ერთმანეთს, საქმის პირველი განარხვის სადღეგრძელოც დალიეს.

უშრომელი შემოსავლის მორტფალითა საქმე უცბად აიწყო. ოთარ კუნელაშვილმა შეთანხმებისამებრ ვიქტორ კოლენიკოვს „რუსული არაყის“ ეტიკეტის ბოთლებში ჩასხმული, თავისი დამამზადებელი 115 ბოთლი ფალსიფიცირებული არაყი მიუტანა. ერთი ბოთლი „რუსული არაყის“ სახელმწიფო ღირებულება 9 მანეთი და 10 კაპიკია. ოთარ კუნელაშვილმა თავის ახალშექმნილ პატაროს საკუთარი რეცეპტით დამამზადებული ერთი ლიტრი არაყი 5 მანეთად და 50 კაპიკად დაუთმო.

— აბა, აბა, ხეირი ნახე!.. 115 ლიტრი „რუსული არაყი“ მოგიტანე! სად დავაწყო?

— ახლავე ყველაფერი მოვადრებ. ჯობია სარდაფში შევიანხოთ!

როდესაც ბოთლები საიმედო ადგილზე დაალაგეს, ვიქტორ კოლენიკოვმა დახლის უკრა გამოაღო, 115 ლიტრი არაყის სახელმწიფო ღირებულება 1046 მანეთი და 50 კაპიკი ამოიღო, საიდანაც ოთარ კუნელაშვილს 5 მანეთის და 50 კაპიკი კვალისაზე გადასცა 682 მანეთი და 50 კაპიკი. 414 მანეთი კი თვითონ მიითვისა.

ოთარ კუნელაშვილი და ვიქტორ კოლენიკოვი ფულის გაყოფაში იყვნენ, რომ საწყობის კარზე კაქუნი გაისმა.

ნათქვამია, ვინც ავაქუნებს, კარს იმას უღებენო. ვიქტორ კოლენიკოვმაც გაულო კარი დამაკაქუნებელს, მაგრამ სახტად დარჩა: კარებში მილიციის მუშაკები იდგნენ!

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით (მოსამართლე მიხეილ ოთარაშვილი) ოთარ კუნელაშვილს მწლით, ხოლო ვიქტორ კოლენიკოვს ოთხი წლით შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა.

ზაალ მისენგინსკი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

შინის ფოცხიშვილი

საქართველო-საქართველო

კაიშიაქა

საქართველო
საქართველო

მაცხეცხეცა

დრო და უამი დანა-ჩანგალს მიცვლის..
ურჭულულებს კვლავაც ჩვენი რიდი აქვს..
ვაი, რა ვქნა! — ქართველები ვიცი, —
ქართველობას დახლებქვეშ რომ ჰყიდიანს..

სირცხვილს როგორ გავმეცხევით,
სირცხვილს?! —
უფსკრულია, წყვილია, წყლულია..
მე ისეთი პოეტები ვიცი, —
სიმართლეს რომ ამბობენ და ტყუიანს..

ფიცი რაა, რას მიქვია ფიცი?! —
დაღვრილია სისხლი, როგორც იდეა..
მე ისეთი რაინდებიც ვიცი, —
სინდის-ნამუსს ჭინჭილებზე ყიდიანს!

ღმერთო ჩემო, ნუ დამინდობ მიწყვი! —
ვამბობ, რადგან შეცოდება დილია..
მე ისეთი ქართველები ვიცი, —
საქართველო ფენებზე რომ ჰყიდიან!

საქართველო გაყოფილა ორად! —
ტურისტები მოდიან და მიდიანს..
საცოდავო ჩვენო კონტაგორავ,
ღვთის შეწყვენი სული კიდევ გვიღვია!

ანბანური

ანი, ბანი, რესტორანი, —
ცოტა კრინი, ბევრი ბანი..

ხორცი მოაქვთ იმისთანა, —
ვერც რას მოსჭრი ჭაყვა-დანით..

ვინც შეჭამა, რესტორნიდან
ხელით დარჩა გასატანი..

ანი, ბანი, ვინი, ვანი, —
გაუმარჯოს ყველს და მწვანილს!

გზა-გზა აკრძოვლი კალაშნიკი

შხამად შეერგოს, ვისაც ჰგონია,
რომ „წინანდალი“
„სამაგონია“



ტვინში ხორცმეტად
ქონი ჰქონია,
ვისაც ჰგონია, —
საქართველო „პოლიგონია“!


სამადიციწო დასკანა ანუ ბარბელეზის უკვდავების საიდუმლო

ალბათ უნდა ყურადღება მიგვექცია! —
იყო სუფრა, ვერ ვშალავდით ჭრილობას!
ქართველების ერთადერთი ინფექცია —
ნამეტანი დიდი ხელგაშლილობა!

შეცოდება სულაც არვის არ სჭირდება,
ღამაჴ ქსელში კვლავ გვხვავს
ძველი ობობა..
ქართველების ერთადერთი გაჭირვება —
მეგობართა ხშირი უმეგობრობა!

პური — მშიერს, წყალი — მწყურავს,
აფრა — ხომალდს —
კვლავაც ითქვას უთქმელად!
ქართველების ერთადერთი წყევლა-
კრულვა —
შეწყალება, ნდობა, ლოცვა-
კურთხევა!

სიტყვა თუნდაც ფუყე აზრით დიტუმბოს,
ყველა კვდება, ზოგი — სად-და ზოგი —
ხადს..
ქართველების უკვდავების საიდუმლო —
ქართველობა, უბირველეს ყოვლისა!



ბანაწილება

ნადლი „ბორჯომი“ — ზევით,
ყალბი „მიტარბი“ — ქვევით,
ყველი — ყოველთვის ზევით,
ხაჭო — ყოველთვის ქვევით..

ხორცი — ნამღვილად ზევით,
ძვლები — ცხალია, ქვევით..
ცაზე ღრუბლების რწევა,
მზე კვლავ ამოდის, მზე ვით!

ჯარჯარბი

ეკიდება ჩანჩქერს ობი,
ცეცხლს სინათლე აკლია..
ჭერჭერობით,
ჭერჭერობით..
მხოლოდ ლაპარაკია!

საკუთრივ რომ არვინ უვით,
სხვები უშვილებიათ!
ჭერჭერობით,
ჭერჭერობით..
მხოლოდ სურვილებია!

ჭერ მართოდენ ლექსებს წერენ
და წლებს ყრავენ წიგნებად!
მერე ალბათ,
ალბათ მერე..
სიყვარულიც იქნება!

პატარის განაპარბულებით

რა ხდება ქვეყნად,
ნურავინ მკითხავს! —
საწყობის ჭამვედ
ნიშნავენ ვირთხას!



„ბასტა“

ასე ამბობენ „ვერაზე“, —
წლები არყევენ ანძებს, —
ტკვიანი თუა, ვერ გაძლებს,
უნიჭო თუა, გაძლებს!

რაინდი სტუმართმოყვარე
სირცხვილს არ აქმევს თბილისს, —
გულუხვი თუა, მოკლავენ,
„კრიუანგი“ თუა, ივლის!

აქ არც ვისა აქვს სხვა ჩვევა,
ასკვნის „სვეტების“ კასტა:
მართალი თუა, დარჩება,
მტყუანი თუა, „ბასტა“!

ამპარალავი კომისიის თამაჯდომარა

ბრძანებს:
„კმარა კამათი და დავა!“ —
ზოგი ალბათ ამ დონეზეც დავა.

ტატიკური ბარდასახვა

იტიტკია,
იტატიკია..
და მოეშვა დიდატიკიას!

დღემდე
ტყუილს ვერ იტანდა,
დღეს სიმართლეს ვეღარ იტანს!

ო, ეგ ისეთ სკამზე დაჯდა,
თავს გაიტანს ჭეშმარიტად!

ილუსტრაციები ჯ. ლომუასი

ჯერჯერობდა არ გარდაქმნილან მშენებლობის სამინისტროსა და სახაგრომრეწვის ხელმძღვანელები, ჩამორჩება საბავშვო ბაღების მშენებლობა. სახაგრომშენს, მაგალითად, 10 დაგეგმილი ობიექტიდან 5 არ ჩაუბარებია. არ შეცვლილა დამოკიდებულება სოფლად კლუბებისა და კულტურის სახლების მშენებლობისადმი: 12 ობიექტიდან 8 ჯერაც დაუმთავრებელია.

ვაჭრობის უწყვეტი ფორმა

ჩვენი რომ უბედურ-ნახევარი ხალხია, სად ნახავ იმწარს რვა წლის უნახავ კოტიკოს ვეითხე, რავა ხარ-მეთქი და არ გაჯიფით, „დამაზნი არესტი“ რომ გავივრტყო. თურმე ცოლს შეურთავს; ესე უკუღმა გელაპარაკებინ და, თუ შენც არ ისწავლე შათი ანანხი, ფეტივით დაიბნევი ცხოვრებაში!

კიდევ ერთი მაგალითი: კაცი დაღმართში მილიდნებს თავისთვის მხატვ ნაბიჯით. ქვემოლან ვილაც ყმაწვილი შემოხვდა და ეკითხება, საით გაგიწვიაო. კაცმა ცერა თითი უკან გაიშვირა, — იქით მივდივარო. — იქით რაფერ მიღიხარ, როცა აქეთ მოდიხარო. — თუ იცოდი, შე მამამალო, რაღას შეკითხებოდიო.

გაღაგრევს ეს ხალხი... სიტყვამ მოიტანა და ამ ბოლო დროს რაღაც ამღაგვარს ვამჩნევ ხოლმე მაღაზიებშიც: შეხვალ აგერ სამეურნეო, სპორტულ, ავტო თუ, საერთოდ, ნებისმიერ მაღაზიაში, მიიხეღ-მოიხეღავ და ისეთი რაღაც გეცემა თვალში, შენი დღე და მოსწრება რომ ეძებდი... ვთქვით, ელექტროქურა. — რა ღირს, ბატონო, ეს ელექტროქურა? — ეკითხები გამყიდველს. გამყიდველი დაკვირვებით აგხედ-დაგხედავს, ყურადღებით შეგათვალთვლებს და შენც უხერხულად იმ-მუშნები — შარვალზე იხედები, ღილი ხომ არ დამჩინია შეუხნე-ველიო.

- ეს ელექტროქურა გატეხილია, პატივცემული!
- მთელი არ მოგდით ხოლმე?
- გვქონდა და გათავდა.
- გატეხილი რაღაზე გაქვთ ვიტრინაში?
- შემოგვრჩა უბრალოდ. საცაა მოვა მუშა და გავატანებ საწყობში.

გულდაწყვეტილი ტოვებთ მაღაზიას, მაგრამ ერთი კვირის მერც რომ შეიაროთ, ქურა იქვე დაგხედებათ.

ამ ამბავმა შალის ეშმაკობაც გამახსენა: დგას შაუმიანის ქუჩის დასაწყისში გამოსაჩენ ადგილას მოწითურო შალია, ფეხზე ადგილობრივი წარმოების ფეხსაცმელი აცვია, ტანზეც — ჩვენებური ხლამები, მაგრამ ისეთი იმპორტული ქურთუკი მოუცვამს ზემოდან, თვალს ჭრის გამველეშ-გამომველს. უცხო თვალს უკვირს: ამ გაჭირვებულს სამსამნეთიანი ქურთუკის ფული თუ ჰქონდა, ხუთ და ათშორიან ტილოს ტუფლებს რაღაზე იცვამდაო?! ტყუილად იკვირ-ვებს უცხო თვალი. არაფერი გაჭირვებული არაა შალია. ის ქურთუკი გასასადებლად აქვს გამოშეურებული.

შოდა, მაღაზიებშიც ასე ხომ არაა? იქნებ ის გატეხილი ელექტროქურა უასილად აქვთ გამოჩენილი? თუ ნაცნობ და სანდო ხარ, „გაგიშანსავს“ გაძვირფასებულ ქურას, თუ უცნობი და გადამთიე-ლი ხარ, „გატეხილია ბატონოს“ გეტყვის. არა, არა, დიდი უცნაური ხალხია ეს ვაჭრები! — ჩანარ რეკლამას არ გამოიგონებენ გამორჩენის მიზნით..

ტიმე მამთარაძე
(ქ. ქუთაისი)

თუ ასეა, ღმერთმა გაგიმარჯოს!

პატარა ფელიტონი

ყველამ კარ გად იცის, რომ სოხუმი პატარა, მაგრამ ღამაში და კობჯა ქალაქია. პატარა ქალაქში ხალხიც ცოტა ცხოვრობს. მაგრამ ამ ცოტა ხალხსაც ნორმალური ცხოვრება რომ უნდა, ესეც უაქტია, ნურვინ გავვიგებს ისე, რომ თითქოს სოხუმელები ფუფუნებით ცხოვრებაზე ვაცხადებდეთ პრეტენზიას. არა, ფუფუნებით ცხოვრება ვისაც უნდა, იმას ჰქონდეს, თუ კარგია! ჩვენ ნორმალურ ცხოვრებაზე გვაქვს საუბარი. ყელზე კი არავინ გვიჭერს ხელს, მაგრამ ეს „წვრილმანებიც“ რომ არ იყოს, ნერვები ხომ არ დაგვაწყდება? თუმცა ეს წვრილმანი როდია..

ერთ დროს სოხუმში საზოგადოებრივი სამარშრუტო ტრანსპორტის ყველა გაჩერებაზე იგა ფარდულეები ძელსკამებით. მოხუცი, ინვალიდი, დიდი და პატარა, ვისაც ფეხი სტაიოდა, ისხდნენ ფარდულეებზე ძელსკამებზე და მოთმინებით ელოდებოდნენ დაგვიანებას დაჩვეულ ტრანსპორტს. ბევრ გაჩერებაზე, რა თქმა უნდა, თავიდანვე არ იყო განებივრებული სოხუმელი მგზავრი ასეთი მომსახურებით, მაგრამ რაც იყო, სიძველის გამო დალბა და დაინგრა, რკინაბეტონი და სახურავი მრუდე ხელების წყალობით წაიღებოდა... ასე გაქრა თვალსა და ხელსშუა ფარდულეები გაჩერებებზე..

ამის თაობაზე ბევრი თხოვნა, საჩივარი და რეპლიკა დიწერა, მაგრამ სათანადო ორგანოები ამას ნორმალურ მდგომარეობად თვლიან. მეტიც, ისინი თამამად აცხადებენ, რომ ეს ჯანსაღი კლუბის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებაა. გაჩერებაზე, ქარსა და წვიმაში, ღია ცისქვეშ ცქმუტვა, სიცვისაგან ძაგ-ძაგი, ნერვულობისაგან წარმარა სიარული და სამსართულიანი გინებები ფიზიკურ ვარჯიშს განეკუთვნება და ყველა სახის დაავადებუ-ლების, ყველა ახაკისა და ჩანგის აღამიანებისთვის სასარგებლო არისო!

თუ ასეა, ღმერთმა გაგიმარჯოს!..

ოთარ ნახუაძე
(ქ. სოხუმი)



ცაში ასროლილი საჩივრები

ნაჩილი გეგას

სალამს გიგზავნი, მამიკო, ხიზანი კურორტ-ქალაქის; გთხოვ, მაპატიე სულგრძელად, — დავიგვიანე ბარათი! შინიდან გამობარე ბინა ვიშოვე ზღვის პირას (ქირის ფულს ველი, იცოდე, აუცილებლად იმ კვირას!). ქალაქის ახალ უბნებში გარდასაქმნელი ბევრია, სარდაფში გუნდი ბაყაყთა „ხასანბეგურას“ მღეროან.. კორპუსებს შორის წყალი დგას, ვერ მიპოვია ფონია, ნავით დავცურავ და თავი ვენეციაში მგონია.. ბინაში დავსდევ კოლოებს — ამ ჩემი სისხლით გამაძღრებს! ტყავი, რაც შემრჩა, ვაჭრებმა სულით ხორცამდე გამამგრეს.. წყალი რომ წყდება ხშირ-ხშირად, კორპუსში ისმის რობრონი, მაშინვე მომენატრება ჩვენი მდინარე ჭოროხი.. იცოცხლე, კერძო ტაქსები შენც არ დაგინდობს, ამადარს, და მგზავრობის ფულს წაგართმევს ნიხის ზემოთ, ისიც სამამადად! ჩამოდი, მამი, ჩამოდი, შენ თვითონ ნახე ქალაქი, ცხენით ჩამოდი, აქაც გვაქვს ჭაობის ნორჩი ბალახი.. თუკი ჩამოხვალ, დაგხვდება ცინცხალი-ცინცხალი ამბები („ხორუმს“ აქ ეშხით ცეკვავენ გოგონების ტოლი თავგები). ბევრგან, კორპუსის კედლებზე, გაკრული არის თუნუქი.. ქარ-წვიმას როგორ გაუძლებს თუნუქი თხელი, მსუბუქი?! გარდაქმნის დაჩქარებისთვის აქაც რომ ატყდა განვაში, სიქმაღ დააჩქარა და... აგარაკი აქვს გაგრაში!.. ფულს ველოდები! წინასწარ მადლობას გიხდის, მამიკო! ბარემ პენსიაც გამიყავ, თუ გინდა, ძეგლი ავიგო!

ივანე ოსაფთხოვილი



— ადამ, საცაა უვილი გვეყოლება და აქედანვე დაიწყე ზრუნვა უმაღლესი მის მოსაწყობად!

ჩვენი დაწესებულების კადრების განყოფილებაში პირადი საქმეების შემოწმებისას საოცარი ფაქტი გამოვლინდა: ერთადერთი კაცი, ვისაც თვრამეტი წლის მანძილზე არავითარი სასჯელი არ დასდებია, გახლდათ პენჩო შიშკოვი.

მისი პირადი საქმე თვრამეტი წლის ქალწულის სისპეტაკით ბრწყინავდა.

მაგრამ იგი მართლა ასეთი სპეტაკი იყო? მთელი სიცხადით ვაგვებხენდა, რომ მას ყოველ საკითხზე დადებითი შეხედულება ჰქონდა, იმწამსვე წამოიძახებდა ხოლმე: „სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“ და ამთავრებდა საბრძოლო შეძახილით: „ვაშა-ა!“

როდესაც ნათესალობიანი სისტემა შემოიღეს, მან შესძახა:


„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

როცა ეს სისტემა გააკრიტიკეს, კვლავ:

„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

ვასილ ცოცხვი

(ბ უ ლ გ ა რ ე თ ი)



როდესაც ხელმძღვანელად არამზადა პეტროვი დანიშნეს:

„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

როდესაც პეტროვი ამხილეს:

„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

როდესაც განუხორციელებელი სასოფლო-სამეურნეო მომარაგება დააწყეს:

„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

და როცა გააუქმეს:

„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

ჩვენს აღფეთებას საზღვარი არ ჰქონდა, საერთო კრება მოვიწვიეთ, ორპირი და შემგუებელი პენჩო შიშკოვი ვამხილეთ და მისი გათავისუფლების საკითხი დავსვით.

და, იცით, რა ქნა?

ლარივით გაიჭიმა და მთელი ხმით დაიღრიალა:

„სწორია, ნაღია, ვაშა-ა!“

აბა, როგორღა გაგვეთავისუფლებინა?!

მხედველობაში მივიღეთ მისი თვითკრიტიკული გამოსვლა და სამუშაოზე დავტოვეთ. მხოლოდ სიტყვიერად გავაფრთხილეთ. ცხადია, პირად საქმეში არაფერი ჩაგვიწერია...

თარგმანა შოთა ამირანაშვილმა

ილია რურუა

მეზობელი

მეზობელი

ეს უცნაური ამბავი საზღვარგარეთის წყლებში მოხდა. საზღვარგარეთის სხენება შემთხვევის ადგილის ლოკალიზებისათვის დაგვირგა, თორემ სხვა მხრივ ჩვენებური იყო და სამგზავრო გემიც, რომელზედაც ყველაფერი ეს მოხდა.

სალსო, რომ ვამბობთ, ერთ-ერთი სამინისტროს მუშაკთა ტურისტული ჯგუფი გვყავს მხედველობაში. არც სამინისტროს დასახელების საჭიროებას ვხედავთ; თუნდაც იმიტომ, რომ ყოველ ასეთ სოლიდურ კოლექტივს ჰყავს თითქმის ერთნაირი, ტიპური შტატი: მინისტრი და მისი მოადგილეები, სამმართველოს უფროსები და განყოფილებათა გამგეები, ინჟინრები და ბუნებალტერ-ეკონომისტები, ტექნიკური მდივნები და... კინაღამ წამომცდა, დამლაგებლები-მეთქი! ამ კატეგორიის ადამიანი ჯგუფში ამდვილად არ არის... არც მინისტრი და არც მისი მოადგილეები. გემზე წარმოდგენილ ათაკაციან ჯგუფში ყველაზე მაღალი სამსახურებრივი რანგისა განსაზღვრავს სამმართველოს უფროსი, ყველაზე დაბლისა — ახალგაზრდა ინსპექტორი სელფისის დარგში. ინფორმაციის სისრულესათვის დავგეგმი, რომ ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა ხუთი ქალი, მათგან სამი — ცოლის სტატუსით, დანარჩენი ორი ლამაზმანის ოჯახურ მდგომარეობაზე კი ვერაფერს ვცტყვით. ვინც ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ვერ მოერევა, ვარაუდებით თვითონ იმტეროს თავი!..

როგორც მოგზაურობის დროს ხდება ხოლმე, ადამიანები, რომლებიც სამინისტროს ლიფტებსა და დერეფნებში ერთმანეთისათვის დამადლებულ ხალხს ძლივს იმეტებდნენ, გემზე ერთბაშად დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ. დილით თავიანთი კაიუტებიდან გამოსულნი, მთელი დღე ერთად იყვნენ: უერთმანეთოდ არც სასადილოში შევიდოდნენ და არც სმელეთზე გასასეირნებლად გადადგამდნენ ფეხს. საღონში რომ იყო და იყო ხაერთო გართობა და მსიარულება. ამგვარი ადამიანური ურთიერთობით გულანუყუბულთ, ვინ იცის, რამდენჯერ უფიქრიათ ერთმანეთზე: „ეს რა ოქრო კაცი ყოფილა, რა უბრალო და თავმდაბალი, სამსახურში კი თავი ქედმაღლურად და ცივად ეჭირა!.. ნამდვილი სასწაულია, ღმერთმანი!..“

იმ საღამოს გემი საფრანგეთის ნაპირების გასწვრივ მიცურავდა ესპანეთისაკენ. როგორც ყოველთვის, ბისკაის ყურე ბობოქრობდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ადამპირებული ტურისტები თითქმის ვერ გრძობდნენ ღელვას. მუსიკალური საღონის დრმა სავარძლებში ჩაყოფილი უზრუნველად მასლაათობდნენ და ერთობოდნენ დაძინების წინ. ეს დღეც ალბათ ჩვეულებრივი ჩაივლიდა. როგორც ამბობენ ხოლმე, „სრული გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში“, რომ სამმართველოს უფროსს, რომელსაც, ვითარცა ხელმძღვანელს, ყველაზე მეტად ევალებოდა თავისი ჯგუფის წევრთა ხელიერი სიმშვიდისათვის ზრუნვა, მოულოდნელად არ წარმოეთქვა:

— ყველაფერი, ყველაფერი, მეგობრებო, მაგრამ აპოლონ დავიდოვიჩის დაბადების დღემ ასე უკალოდ და უყურადღებოდ უნდა ჩაიაროს?! არაფრით არ უნდა აღვნიშნოთ?!

მშვიდად, ოდნავ შეფარული ირონიით ნათქვამი სიტყვები მენივით გავარდა სალონში. თუ საზღვაო ხასიათის შედარებასაც მოვიშველიებთ, ცუნამის ამოვარდნას ჰგავდა, რომელმაც ყველანი შეაჯანჯღარა და ერთბაშად გააოგნა. მართლაც, ასეთი გულმაკვიწყობა და უყურადღებობა?! მერედა, ვინ არ გაასხენდა — მინისტრის პირველი მოადგილე!.. მოულოდნელობით დამბლადაცემული ხალხი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ უფრო პრაქტიკული და ალღოიანთ თავში პირველი კითხვები გაუჯდათ:

„უყურადღებობის დაწამება კიდევ რაღად ჭირდება?!“
 „რას ნიშნავს „აღვნიშნოთ“?..“
 „რაზე ლაპარაკი — საჩუქრის ყიდვასა თუ ჩვენებურ, ქართულ პურ-მარილზე?“
 „მაგას რა ენაღვლება, ბაბა, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, საგზურში კაპიკი არ გადაუხდია!.. ჩემსავით კი არ ჩამოუსესხებია ათ-ათ მანეთობით!.. იქნებ თვითონ კისრულობს?“

სულ მშვიდად ვერც სამმართველოს უფროსი იყო: თვალებს არ აცილებდა თანამშრომლებს, რათა მათს ფიქრთმდინარებას ჩასწვდომოდა. ამდენი დაბნეულ-შეცხუნებული სახეების ცქერა კმაყოფილების ღიმილს ჰგვრიდა:

„ალბათ გულზე სკდებიან, — რატომ სხვამ



დაგვასწრო, რატომ ჩვენ არ მოგვაგონდა პირველადო!.. აბა, რა გეგონათ?! მარტო პა-პა-პა და ზი-ზი-ზი კმარა ცსოჯრებაში!“
 თავისი მისვედრილობით გაამაყებულმა ენაჩავარდნილ სელქვეითებს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და გამომწვევად იკითხა: — თქვენი სიჩუმე რას მივაწერო, ძვირფასო მეგობრებო?! თუ არ მეთანხმებით, ბარემ თქვით და ის იქნება!
 სავარძლებიდან ერთბაშად ამოიზიდნენ წარტყლებული კისრები: — ამბაკოვინ, მაგაზე ლაპარაკი შეიძლება?!

— როგორ გვაკადრებთ, ბატონო!..
 — ჩვენ უბრალოდ...
 — კეთილ და პატიოსანი! — უმაღ აიტაცა სამმართველოს ალღოიანმა უფროსმა კოლექტივის განწყობილება, — რაკი ასეა, მაშინ ბარემ ტექსტზე შევთანხმდეთ!
 ყველამ შევებით ამოისუნთქა: „მაშასადამე, ლაპარაკია მილოცვის დეკლარაცია“

ყურადღება მიიქცია ტონმაც, რომლითაც წარმოითქვა სიტყვა „შევთანხმდეთ!“

„გამოღის, დეკემის ტექსტიც უკვე შედგენილი აქვს.“
 ამ აღმოჩენას ენთუზიაზმის ასალი აზვირთება მოჰყვა:

— ბარემ წავგიკითხე და ის იქნება, ამბაკოვინ!..
 — თქვენზე უკეთესად ვინ შეადგენს მაგას?..

— რად უნდა ლაპარაკი!..
 მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი ინჟინერს, გულის სიღრმეში აქამდე რომ ვერ შერიგებოდა ფიასკოს, თავში მოულოდნელი აზრი გამოუბრწყინდა.

— ასე დაწვრილმანება რა საკადრისია, მეგობრებო! — ფეხზე წამოიჭრა საოცრად განარებული იმით, რომ მიაგნო რეაბილიტაციის საშუალებას. — დეკემ რა ყოფილა?! სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ, ჩვენს საწყვარელ აპოლონ დავიდოვიჩს რომ ეკადრებოდეს, ისეთი!..

გადაყრილი ღრუბელი კვლავ ჩამოწვა!.. ისე ჰგავდა, მოუსდებოდათ ჯიბეების მოჩხრეკა და რაიმე საჩუქრის ყიდვა. არამკითხველმეტიარაზე დაბოლმით და გულში ჩუმად აბუზღუნებულთ კვლავ ჯგუფის ხელმძღვანელი მოუვლინათ მსხნელად:

— მერედა, ჩვენი ისედაც მცირე ვალუტით?! — მწყრალად შეხვდა მან მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი ინჟინერს. — ჩამომათხოვრებული ფულით ნაყიდ საჩუქრის ჭვადრებო?! რომ გავვიგოს, სომ ეწყინება?! არა, არა!.. დეკემ და სხვა არაფერი!..

თითქოს მიტიტებზე ყოფილიყვნენ, ყველამ ერთად ისუვლა:
 — სწორია!..
 — მართალია!..
 — აგაშენა ღმერთმა!..
 — ა, ჭკვიანი კაცი!..
 — ბარემ წავგიკითხე, ამბაკოვინ, და ის იქნება!..

სამმართველოს უფროსმა განმგმირავი მზერა ესროლა უკვე სავარძელში ჩამძვრალ მეტიარაზე ინჟინერს, შემდეგ მოკლესხელყოფიანი ძვირფასი პერანგის გულისჯიბიდან ორი თითით ამოაძვრინა ოთხად გაქცილი ტელეგრაფის ბლანკი, აუნქარებლად გაშალა და თქვალ ჩაუშტერა მჭიდროდ ჩაწიკვიკვირულ ტექსტს.

— სული წუ ამოგვხადე, ამბაკოვინ! — გაუსწავა მოთმინების ძაფი ვიდაცას.
 ჯგუფის ხელმძღვანელმაც აღარ დააყოვნა. ღიმილგადაფენილი, კმაყოფილი სახით ჩაიკითხა საკმაოდ გრძელი, მაღალფარდოვანი მილოცვა, რომელიც მთავრდებოდა გულის-ამანუყებელი სიტყვებით: „უსაზღვროდ თქვენი ერთგული და მოსიყვარულე თანამშრომლები!“

ტამი ისეთი ერთსულუნებით დასცხვს, რომ მთელი საღონი წუთით მათკენ შემობრუნდა. ამდენი გაჭირვებული შემოსუდვით დარცხვენილებში, მაშინვე მომდევნო პროცედურაზე გადავიდნენ.

— პირველმა ვინ მოაწეროს ხელი? — იკითხა მთავარმა კოორდინატმა.
 — რა თქმა უნდა, იმან, ვინც შეადგინა! —



კვლავ გამოცოცხლდა მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი ინჟინერი, მაგრამ ამდენ გამჭირდავ მზერას რომ წააწყდა, დასაბუთებაზე გადავიდა: — ჯერ ერთი, იმიტომ. რომ სირცხვილსა და თავის მოჭრას გადავვარჩინა... მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენში თანამდებობით ყველაზე უფროსი ვანლაპო... და, მესამეც, კიდევ იმიტომ, რომ ჯგუფის წევრები ვანლაპო...

— კი, ბატონო, ვინ დავიხსნე, მაგრამ დანარჩენებმა? — კვლავ იკითხა უფროსმა კონომისტმა.

— დანარჩენებმა ანბანის რიგზე, როგორც მიღებულია საზოგადოლო..

ჩამოწმული სიჩუმეში ყველა შეუდგა სასკოლო მერსიდანზე უხვიოდ დაზოგუნული და შემდეგ სულაც გადავიწყებული ალფაბეტის გასწავლებას, რათა გასაგაზინი უსტრატისათვის დარიულ სიაში თავისი გვარის აღვლმდებარეობა დაედგინა...

ასეა თუ ისე, გამოირკვა, რომ ყველაფერი თავსუღმა დგებოდა. ამბაკოვინის შემდეგ ჯგუფში ყველაზე პატივსაცემი კაცი მთავარი კონომისტი მელიტონ ხაუთასი ვანლადავ, ალფაბეტის წესის დაცვით კი სულ თავში ექვემდებარება სამინისტროში ანალოგის დარგში ანაზორ აბაიშვილი... არ გამოდიოდა რაღაც!

— ასე იქნება თუ ისე, ცხადია, პირველი ხელმოწერის საკითხი გარკვეულია.. დანარჩენებისათვის კი რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ვის შემდეგ იქნება? — შემოიტანა წინადადება საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერმა, რომელსაც შუაგული ადგილი გარანტირებული იქონიდა გვართავ და თანამდებობითაც: — არ ღირს ახლა მაგაზე ლაპარაკი.. მე ჩემდა თავად განსხვავება ვერ ვხედავ.. გენაბავთ, თქვენი მომარაგებით სული, გენაბავთ — ბოლოში! — მხარი დაუჭირა ინჟინერს მთავარმა რევიზორმა.

მომარაგება-გასაღების სამსახურის წარმომადგენელს გუნებაში გაეცინა:

„შიმანდრობს მისებურად!.. „ჯერ თავში“, ვითომდა წამოხსნა, მაგრამ სომ ვიცი, გულით როგორც უნდა?!.. ბოლოში რომ მოვაქციოთ, ჩემს მტერს, ყველას გადავკვივებ! არა, ბატონო, აწი ხმის ამომღები არა ვარ მე!..“

— რა მაგის პასუხია და, ყველაზე პატივსაცემ ხალხს სუფრაზე ან თავში ვადდებრძლებით ხოლმე, ან სულაც ბოლოში! — კიდევ ერთხელ შეასხენა თავი ხალხს რევიზორმა.

— სიტყვის მასალაა ეგ და მეტი არაფერი! — დარღვია საკუთარი თავისთვის წუთის უკან მიცემული აღთქმა მომარაგება-გასაღების ინჟინერმა.

— გარეშე კაცმა ყური რომ დაგვივდოს, ნამდვილად თავი მოგვეჭრება!.. ვისაც როგორ შეხვდება, ისე იყოს, ბატონო!.. ვინდათ, სულაც მე ვიქნები ბოლო! — თავი გამოიღო პროფესიის წყალობით ზურგამოკუთვლმა მხაზველმა. — ჩემი დღე და მოსწრება ისედაც ბოლოში მივჩანჩალებ ამ ცხოვრებას!..

— არც გადაუმეტებელი თვამდაბლობა ვარა, ჩემო ვალიკო! — შეგონებაზე გადავიდა მთავარი რევიზორი. — ეგეც თავისებური სიამაყეა, შენ რომ იცოდე!

— აბა, საშველი არ ყოფილა და ეგაა! — გაკვირვებით გადახედა საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერმა ჯგუფის წევრებს, რომლებიც ამ კამათს რატომღაც გამოითხოვდა და მხოლოდ იღიმებოდა.

— სულაც ნუ გავგზავნი მგ დეპუტატს და ის იქნება!.. ჰეჰეჰე!.. სომ არ დაიქცევა?! — წამოიძახა მოულოდნელად ანზორ აბაიშვილმა, რომლის არსებობა ლამის ყველას გადავიწყებოდა.

— აა?!
— რაო?!
— ?!
— !!.

— ისე, მართლა მოცლილები ვართ... რას ავიტყვებთ ეს იწილო-ბიწილო?!.. მთავრობის ხალხი თუ ალფაბეტის მისხვდით აწერს ხელს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტს, ჩვენ ვისი ტიკი-ტომრები ვართ?!.. არავითარი თანამდებობა და სავარძელი!.. შევეჩვიოთ, ბატონო, ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის ბოძებულ სიკეთეს — თანასწორუფლებიანობას!.. შევიღირსოთ! — წამოდგა სავარძლიდან მხაზველი, რომლის გამხდარ, ინტელიგენტურ სახეზე აშკარა გაგულისება იკითხებოდა.

კიდევ ერთხელ ჩამოწვა მძიმე სიჩუმე და კიდევ ერთხელ დაიბადა ახალი აზრი:

— იქნებ სულაც ცალ-ცალკე გავკვავება? — წამოიძახა ვიღაცამ სავარძლიდან.

— სწორია!..
— შენ გიშველა ღმერთმა!..

სამმართველოს უფროსი მიხვდა, რომ მეტი განუმება არ შეიძლებოდა. მისმა წამოწყებულმა საქმემ აშკარა კრახი განიცადა და შელახულმა თავმოყვარეობამ ააღმარაკა.

— ძალიან ულამაზოდ გამოვივიდა, რომ იცოდეთ თქვენ! — დაიწყო განაწყენებული სმით. — სულ რამდენიმე კაცი ვართ და უბრალო ამბავზე ვერ შევთანხმებულვართ!.. აი, სანამდე მივიდა კოლექტიურობისა და სოლიდარობის გრძობაზე ჩვენი ტრამბის!.. ბატონი ვალიკო ცამდე მართალია!.. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, თუ ასე არ არის!.. რა გავწყობა, როგორც თქვენ გინდოდეთ, მე ძალას არ დავატანთ!.. გინდ კოლექტიური იყოს ის დეპუტატი, გენაბავთ ცალ-ცალკე გავზავნებ!.. დილადავ კიდევ გვაქვს ფიჭის დრო!..


მეორე დღით დეპუტატის გაგზავნაზე სიტყვაც კი არავის ჩამოუვდია, თითქმის ყველას დაავიწყდა!..

რატომღაც ცალ-ცალკე დაიწყეს სიარული, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ!..


ასე ჩაიძირა ერთი უბრალო, კეთილი განზრახვა ატლანტიკის წყლებში, გიბრალტარის მითიური კლდეების კარიბჭესთან.




ილუსტრაციები ჯ. ლოლუაშვილისი




უსიტყვოდ



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



მას შემდეგ, რაც პოლონურიდან თარგმნა დავიწყე, ჩემს ნაცნობებს ცნობისმოყვარეობა არ ასვენებთ.

ერთმა ბანოვანმა კი ჯიქურ მოინდომა: სიმართლის დადგენა და გასაქანი არ მომცა:

— ახლა არ უარყოთ, მე ხომ ყველაფერი ვიცი! — საიდუმლოდ გამომიხსნადა ჭეშმარიტების მოყვარულმა. — კი გამეგო, რომ სიყვარული ყოველს შემძლე ძალაა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სასწაულის ჩადენაც შეეძლო! ღმერთო დიდებულო! შეისწავლო უცხო ენა, შეისწავლო სრულყოფილად, იმისათვის, რომ სიყვარული აუხსნა უღამაზეს პოლონელ ქალს, რომელმაც მოგნუსხა, თავი დაგავიწყა და რომელსაც, სამწუხაროდ, ინჩინინჩი არ გაეგება რუსულისა, — ეს ხომ გმირობა!

კადრების განყოფილების გამგემ რედაქციის დერეფანში დამიმართხელა.

— ანექტაში რომ არაფერი გიწერია პოლონური წარმომავლობის შესახებ? — ალერსიანად მითხრა მან, — შემოიარე დასაზუსტებლად.

ერთმა პოეტმა ლიტერატორთა სახლის ბარში შემიტყუა, კონიაკით გამიმასპინძლდა და მერე ენერგიულად გამომიხსნადა:

— აბა, თავი დაანებე მამაძაღლობას, მომეცი იმ ზანგის ტელეფონი!

— რომელი ზანგისა?

— ვითომ ვერ ხვდები, ხომ, ვისზე გეუბნები, შე ქვეშეკვეშავ?! იმ პოლონელზე, პწკარედულ თარგმანს რომ გიკეთებს!

ერთი სიტყვით, გვარიანად შევწუსდი და გადავწყვიტე ყოველგვარი ჭორის გასაფანტავად გულახდილად მომეთხრო იმ მიზეზებზე, რომლებმაც პოლონური ენის შესწავლა მაიძულა.

სიმართლე კი აი ეს გახლდათ: ამ რამდენიმე წლის წინათ ვარშავაში ვიყავი. იქ სასტუმროში ერთი პოლონელი ინჟინერი გავიცანი. გერმანული და ფრანგული ფრაზების მეშვეობით, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლის წლებიდან შემორჩენოდა ჩვენს მანსოვრობას, ორი კვირის მანძილზე საკმაოდ ხალისიანად ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე და, როგორც გაირკვა, ერთიმეორის ნალაპარაკევიდან ბევრი არაფერი გაგვიგია, კეთილ ნაცნობებად დავცილდით და მისამართებიც გავცვალეთ.

მოსკოვში დაბრუნდი და ცოტა ხანში წერილი მომივიდა პოლონეთიდან. წერილი პოლონურად იყო დაწერილი. რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. წერილზე უნდა მეპასუხა, თორემ, ღმერთმა იცის, რას იფიქრებდა ინჟინერი, მაგრამ რომ მეპასუხა, ხომ უნდა მცოდნოდა, რა ეწერა შიგ.

მეგობარმა, რომელსაც ჩემი გაჭირვება შევჩივლე, მოწყალედ დამკრა მხარზე ხელი.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! პოლონური ადვილზე ადვილი ენაა, მაგის გაგებას რა უნდა?! მომეცი წერილი, ახლავე გითარგმნი!..

ეტყობა, ჩვენი შეხვედრის შემდეგ ჩემმა პოლონელმა ნაცნობმა პროფესია შეიცვალა.

მწერდა: თხებს ვწველი გვეონტის მთის ახლომანლო, ჩემი ცოლი ახლანან დაქვრივდა, მაგრამ დასაფლავებას ვერ დავესწარი, რადგანაც მივლინებით სხვა ქალაქში ვიმყოფებოდი... წერილის ბოლო სტრიქონები ცოლის ჯანმრთელობას ეძღვნებოდა: თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ, სამწუხაროდ, წყნარად მუშაობის საშუალებას არ მაძლევს, ღამღამობით სულ „უა-უას“ ვაპკვივისო.

ამ ცნობამ ძალიან დამამწუხრა. ეს რა უბედურება შემთხვევია-მეთქი ამ სიმპათიურ ადამიანს! ყოველი შემთხვევისთვის წერილი სხვასაც წავაკითხე.

რედაქციის ერთი მუშაკი გვარიანად კითხულობდა პოლონურ ენაზე, წერილი ხელში აიღო თუ არა, სიცილისაგან ყბა კინაღამ გვერდზე მოექცა.

— კაციც ეგა ყოფილა... — წამოიძახა აღტაცებულმა და ხელი მუხლზე დაიკრა, — ბრწყინვალე იუმორისტი! მისმინე: სახლში თხა ჰყოლია ერთი, ვაცი, გვეონტი რქმევი. ერთ მშვენიერ დღესაც რაღაც უცნაური ხმები შემოესმა გომურიდან: „უა!“ „უა!“... იცი, რა გაირკვა მერე? გვეონტი სულაც არ ყოფილა ვაცი. ერთი ჩვეულებრივი ნეწვი გამოდგა. ამის საბუთი კი იქვე ნებივრობდა თურმე — ამქვეყნად ახალმოვლენილი თიკანი. რა მოულოდნელი ცვლაა სიუჟეტისა, არა? მომეცი ეს წერილი და უურნალში დაგებჭდავ. მკითხველები სიცილისაგან გადაბურდებიან.

მართლმით გითხრათ, მომეჩვენა, რომ პირველ თარგმანში თხის ამბავი ცოტა სხვანაირად იყო აღწერილი. გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გავრკვეულიყავი სიმართლეში. მეზობელი მყავდა ერთი, წარმოშობით პოლონელი იყო, მაგრამ კაი ორმოცი წელი იქნებოდა, რაც მოსკოვში ცხოვრობდა. მეც ავდექი და შინ მივადექი. უარი არ უთქვამს. აი თურმე რა ეწერა წერილში:

ძვირფასო მეგობარო! ურა! ურა! სადოქტორო დისერტაცია დავიცავი. თემა ეძღვნებოდა მეტად მნიშვნელოვან საკითხს: „როგორ შევცვალეთ ნიკოტინი კაზინით სიგარეტ „გვეონტში“. ამის შედეგად ბავიდან საბავშვო ბაღში ვადაიყვანეს, სადაც მშვენივრად ვგრძნობ თავს და მთელ დღეს ვაპკვივ: „უა-უა!“

ერთადერთი, რაც გავიგე, ის იყო, რომ ცოტა ხანში თვითონ დავიწყებდი „უა-უას“ ძახილს, რის შემდეგ ბავშვთა ბაღში წამიყვანდნენ, სადაც, ბოლოს და ბოლოს მომეცემოდა საშუალება სადოქტორო დისერტაციის დაცვისა.

ყოველივე ამისგან თავის დაღწევა ერთადერთი საშუალებით შეიძლებოდა: პოლონური ენა უნდა შემეესწავლა და თავად წამეკითხა ეს უკუღმართი წერილი.

ასეც მოვიქეცი!

რამდენიმე თვის შემდეგ პოლონეთიდან მიღებული ბარათი ჩემთვის უკვე აღარ წარმოადგენდა გამოცანას.

აი, რა ამოვიკითხე წერილში:

ძვირფასო მეგობარო! ვსარგებლობ შემთხვევით (ჩემი ახლობელი მივლინებით მოემგზავრება მოსკოვში) და გიგზავნი პატარა ამანათს.

დაუყოვნებლივ წადი სასტუმრო „ურალში“ და იას სადოვსკი იკითხე. იგი სულ ახალთახალ ფლიაკებს გადმოგცემს. გასსოვს, რა გემრიელად შეაქცეოდი რუსტორან „გვეონტში“?!

ღმერთო ჩემო! ვარშავული ფლიაკები! მხოლოდ პოლონეთში იციან ამ ცხარე, არომატული კერძის გაკეთება. არადა, მას ხომ საქონლის ჩვეულებრივი ფაშვისაგან ამზადებენ!..

სამწუხაროდ, ამჯერად ვერ მოვახერხე მათი დაგემოვნება. ჯერ დამზადების წესი უნდა მეთარგმნა. წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა ამ დელიკატესს, სანამ მე პოლონურ ენას ვსწავლობდი!..

თარგმნა ზაალ გოტკოველმა


სახ. არჩილ ხანთაძის
 № 816
 21.XII.87

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

მასსაღარი



— გარდაქმნამდე აქ შემოსასვლელი გვქონდა. ახლა გასასვლელად გადავაკეთეთ!



მიზნის, საფუძვლის და მიზნის შესახებ

ს კ ო რ ტ დ ა რ ბ ა ზ უ შ ი

— თქვენ ჯერ ახალგაზრდები ხართ!.. გვაცალეთ, თათბირი გვაქვს გარდაქმნაზე!..

უიზნოდ და უსაფუძვლოდ არაფერი არ ხდება: კატა რაა, — ისიც თურმე უსაფუძვლოდ არ კნავის; ქალები კი ზაფხულობით თმობენ წონის ნახევარს იმ მიზნით, რომ მამაკაცებს აგვიბნონ გზა-კვალი!

უსაფუძვლოდ (სხვათა შორის) თავს არ იკლავს არავინ და უმიზნოდ (მით უმეტეს!) არავინ სვამს სამსალას; არც მოხსნილი უფროსისთვის ავიწყდებათ სალაში და არც ახლად დანიშნულზე „აგროვებენ მასალას“!..

მაგრამ მაინც, რასაც „მიზნად“ და „საფუძვლად“ ნათლავენ, მხოლოდ სიტყვის მასალაა!.. როგორც ამბობს ნიზამი: მიზნისა ერთადერთი სუყველაფრის სათავე და მიზნის შედეგია საფუძველიც, მიზანიც!

მაგალითი? (ერთი წუთით... მომწოდეთ ლანცეტი! გული მინდა გავიფატრო და თქვენს გულს დავატოლო!) ანლა, ამ წუთს, საფუძველი არ მაქვს ლექსის დაწერის, მაგრამ ამის მიზნის მაქვს: უფულოდ ვარ, ბატონო!!!

მისხალ-მისხალ

- მოწყობილი სიამოვნებით და მაღლიერებით შევსებ კარგ წყალს, თუნდაც მტრის ჭიდან იყოს; ამგვარივე გრძნობით აღვიქვამ თანამედროვის კარგ ნაწარმოებს, რომლისაც უნდა იყოს იგი.
- ხელთუქმნელი ორი ძეგლი: ნიკორწმინდა, „ნიკორწმინდა“.
- ნაპი მტკიცედ ნაგებია, ტალღები მაინც აქანავებს.
- ჩვენი პლანეტა უზარმაზარი სამორინეა: ადამიანები გაჩენის დღესვე უსხდებიან მაგიდას, იღებენ კარტს და ებმებიან თავდავიწყებულ ბედის თამაშში!..
- ყოველი გამომგონებელი მეცნიერი არ არის; ყოველი მთხზველი მწერალი არ არის.
- ლურსმანს არ ახლავს ინსტრუქცია, თუ რომელი მხრიდან მიეჭება ღოს ფიცარს.
- ჯანმრთელი მწერალი! — არაფერი სტკივა.
- ტანში ვერაფერს ხედავს თავისი აწეული ცხვირიდან ორმოციოდ ნაბიჯზე. ზოგი კრიტიკოსიც მას ჰგავს.
- ვისაც წვიმა სურს, წვეთი არ უნდა სძაგდეს.
- სველა უფროსის მორჩილი ვიყავი, მონა — არავისი. ამიტომაც ვერ გავხდი უფროსთა თანამშრომელი.
- ძველად, სიყმაწვილეში, სხვა სარწმუნოების ოჯახის კარზე გვიღებია თურმე ალილო ქრისტეშობის ღამეს! საჩუქრად კანფეტებს ველოდი, და მუგუზლით კი გამოგვეკიდნეს!
- მოუზრნე მეზობელმა სხვის სავარდში თავისი ღორი შეუშვა. სულ სხვა რამეზე ყნოსვამეჩვეულმა ღრუტუნამ იუცხოვა ვარდის კეთილსურნელება.
- არადა, ვარდებში ისე ჩაიხლართა, თავგზა აებნა და ვერც გამოაღწია. მაშინ, სხვას რომ ვერაფერს გახდა, მოსდგა ვარდებს გასათელად. ეკალი კი უაწრავდა დინგს, მაგრამ ეკალი რაა ღორისთვის! ერთი ეკალიც ეს იყოს, თუ იგარძნო.

ვლადიმერ თორღუა

705

87-816

ამერიკის უცვლელი შტატები სპარსეთის ყურეში თავს უყრის სამხედრო-საზღვაო ძალებს ირანზე თავდასასხმელად.



სატირქი
ბიულეტენი

სატირქისა და იუმორის
ჟურნალი „სატირქი“ № 23
(1753). დეკემბერი. გა-
მოდის 1923 წლის ივნისი-
დან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირჯიბი, ნოზალი
ბარათია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მა-
ლაზონია (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ალექსანდრე სამ-
სონია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვია-
ნი, თამაზ წიგწივაძე, ნა-
ფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნღუა

გადაეცა ასაწყობად
02. 11. 87 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 11. 12.
87 წ. ქალაქის ზომა
60X90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. საბე-
რებელი-საგამომცემლო თა-
ბისი 1,9, საქართველოს კ-
კვის გამოცემლო ბა,
ლენინის 14. შეკვ. 2809
შე 04899. ტირაჟი 145.000.
ჟურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაების — 99-02-38,
მდივან-მემაქანის —
99-76-69.

სატირქი - იუმორისტиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Изда-
тельство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

გან. გ. ლომიძისა

უხვეგან ჯინს... ღოჭიდან...

